



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030451140326118

№ 04-82/ო

31 / იანვარი / 2018 წ.

„ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 4 იანვრის N04-2/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის (დანართი N9) მიზნებისთვის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 4 იანვრის N04-2/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერულ სახელმწიფო პროგრამებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესში“ (დანართი N2) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირი განმახორციელებელს სთავაზობს მომსახურებას დაქვემდებარებული ორგანიზაციული ერთეულ(ებ)ის (ფილიალი, შვილობილი საწარმო ან სხვა) მეშვეობით, იურიდიული მისამართისაგან განსხვავებულ ტერიტორიაზე, განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, მათი კონკრეტული ფაქტობრივი მისამართის (ადგილმდებარეობის) გათვალისწინებით“.

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თამაზ მოდებაძე